

თამარ მახარობლიძე
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი
Tamar.makharoblidze@iliauni.edu.ge

საკვანძო სიტყვები: ქართული ჟესტური ენა, ჟესტწარმოება, ქართული ჟესტური ენის საარჩევნო ლექსიკონი

ტერმინოლოგიის საკითხები ქართულ ჟესტურ ენაში ¹

ქართული ჟესტური ენის წარმოშობის შესახებ წერილობითი მასალები ან რაიმე ისტორიული წყაროები არ მოიპოვება. ჩატარებული ლინგვისტიკური კვლევებით დგინდება, რომ ეს არის ბუნებრივი ენა, მაგრამ ჟესტური ენები ზეპირი კომუნიკაციის ენებია და, ცხადია, არსად მოიპოვება ტექსტური სახის ჩანაწერები. არც ამ ენის კორპუსი არ არის ჯერ შექმნილი. ამდენად, ლინგვისტიკური კვლევების დროს ძირითადად ენის წყაროებს – ყრუ პირების ჟესტურ მეტყველებას ვყვრდნობით. ქართულ ჟესტურ ენასთან დაკავშირებული ისტორიული ან დიაქრონიული მსჯელობა, ცხადია, გარკვეულ სირთულეებთანაა დაკავშირებული ზემოთ მოხსენებულ მიზეზთა გამო.

სხვა ჟესტური ენების მსგავსად, ქართულ ჟესტურ ენაში სიტყვაწარმოება, ანუ ჟესტწარმოება, უნდა განხილული იქნეს, როგორც გარკვეული სახის შემოქმედებითი პროცესი. საგულისხმოა, რომ ამ ენის მომხმარებლებს არ ჰქონდათ რიგი სიტყვების მოხმარების საჭიროება და, შესაბამისად, არც არსებობს ენაში ასეთი სიტყვები (მაგალითად, *ეგ ზიტენციალიზმი, კუბიზმი, დადაიზმი, გავეშებული, განარნარებული, გასისინებული, წიწინი, პოლიფონია* და სხვ.) დრო და ეპოქა, ასევე ყრუთა თემის შემდგომი განვითარება ითხოვს ახალი სიტყვა-ჟესტების წარმოქმნას. განსაკუთრებით კი პრობლემურია ტერმინთა წარმოქმნა ამ ენაში. როგორც ყველა ბუნებრივი ენა, ჟესტური ენებიც უნდა იცავდნენ ტერმინშემოქმედების იმ სავალდებულო ნორმებს, რაც ასე მნიშვნელოვანია ზოგადად ტერმინოლოგიისათვის. არსებობს აპრობირებული მოდელები და ეს მოდელები წარმატებით გამოიყენე-

¹ კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით [FR-22-254. ქართული ჟესტური ენის სახელთა მორფოლოგია]

ბა ჟესტური ენების ტერმინების შესაქმნელად. სასურველია ამ მულტიპროფესიული მოდელების დანერგვა ქართული ჟესტური ენის ტერმინთა წარმოებისას.

სამწუხაროდ, ტერმინების შექმნისა და გამოყენების საკითხები ქართულ ჟესტურ ენაში საკმაოდ რთულად დგას რიგ გარემოებათა გამო. კერძოდ, უნდა აღინიშნოს, რომ განათლების სისტემაში მომუშავე არაკომპეტენტური ჩინოვნიკების „მეცნიერული ძიებები“ ძალიან აზიანებს ამ ენას. გრანტებსა და ფულს გამოკიდებული ადამიანების არასერიოზული მოღვაწეობა ქართულ ჟესტურ ენას უქმნის დიდ საფრთხეს: ეს ბუნებრივი ენა, შესაძლოა, ცოტა ხანში კოპირებად ენად იქცეს და მაშინ, ცხადია, მის მიმართ ყოველგვარი მეცნიერული ინტერესი დაიკარგება. მნიშვნელოვანია იმის ხაზგასმა, რომ უმეტეს შემთხვევაში არაპროფესიული ლინგვისტიკური აქტივობები ენის ლექსიკურ დონეს ეხება. ამ მხრივ არც ქართული ჟესტური ენაა გამონაკლისი.


ქართული ჟესტური ენის მომხმარებელთა შორის არ იყო სათანადო მოთხოვნა და ამდენად, როგორც მოსალოდნელია, არც იყო განვითარებული გარკვეული ტიპის ლექსიკა და არც სათანადო ტერმინები. ბოლო პერიოდში ყრუთა აქტივობა საკმაოდ მაღალია საქართველოში და შესაბამისად, დგება ახალი ტერმინების შექმნის საკითხი ქართულ ჟესტურ ენაში. ჟესტშემოქმედებითი პროცესი კი საკმაოდ შრომატევადი და რთული პროცესია, რომელზედაც წარმოდგენა არა აქვთ იმ ადამიანებს, რომლებიც მიმდინარე ეტაპზე ირჯებიან ამ კუთხით. ეს მოკლე აღწერაა არსებული სამწუხარო ვითარებისა. ზემოთ გამოთქმული პოზიცია და ჩემი წუხილი არის განპირობებული რეალური საფრთხით, რაზეც უკვე მოგახსენეთ – ენისადმი ამგვარი არაპროფესიული მიდგომით, ეს ენა გადაინაცვლებს კოპირებადი ენების ჯგუფში.

როგორი უნდა იყოს ჟესტშემოქმედებითი სამუშაოების მოდელი? აქ სასურველია ამერიკული გამოცდილების გაზიარება, თუმცა ყველა კონკრეტული ჟესტის შესაქმნელად კონკრეტული კვალიფიციური სამუშაოებია ჩასატარებელი. ამერიკული გამოცდილება კი მოიაზრებს დარგობრივი სპეციალისტების, ყრუთა და სათანადო პროფილის ენათმეცნიერების ერთობლივ სამუშაოებს.

2015 წელს ყრუთა ჯგუფთან მუშაობის პროცესში მე გამოვავლინე ენაში არსებული ტერმინები, რაც უკავშირდებოდა არჩევნების თე-

მატიკას და გამოვეცი „ქართული ჟესტური ენის საარჩევნო ლექსიკონი“. მოგიყვანთ მაგალითებს ამ ლექსიკონიდან:


აბონენტი



აბონენტი – აბონემენტის მქონე პირი

პირველ ნაწილში მოცემულია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „გადახდა“ – ხელისგულები ზევითაა მიმართული, გაშლილი თითებით და ზემოთ აწეული ცერით მარჯვენა ხელი ზემოდან ედება გაშლილ მარცხენა ხელისგულს, მარჯვენა ცერისა და საჩვენებელი თითის წვერები ბოლო ფაზაში ერთმანეთს ეხება; მეორე ნაწილში წარმოდგენილია სიტყვა-ჟესტი „ადამიანი“ – ხელისგული მიმართულია წინ, გაშლილი ცერითა და საჩვენებელი თითით ღია წრეა გამოსახული, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდისა და მხრების დონეზე.

აბონემენტი




აბონემენტი – საბუთი, რომელიც რამეთი სარგებლობის უფლებას იძლევა

ორნაწილიანი, ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური ფორმა: მარცხნივ მიმართულია მარჯვენა ხელისგული, შე-

ტყუპებული და წრიულად მოხრილი თითებით გამოსახულია ღია წრე, სრულდება მოძრაობა მარცხნივ; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „მრავალფეროვნება“ – ხელისგულები მიმართულია სხეულისკენ, ფართოდ გაშლილი და ზევით მიმართული ხუთი თითი თანმიმდევრული რხევით მოძრაობს, სრულდება განსვლითი მოძრაობა: მარჯვენა ხელი მარჯვნივ გადაადგილდება, მარცხენა – მარცხნივ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

აგიტატორი



აგიტატორი – პირი, ვინც აგიტაციას ეწევა

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „აგიტაცია“ – ხელისგულები ქვევითაა მიმართული, გაშლილია საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, ორჯერ სრულდება ქვევით მიმართული განსვლითი მოძრაობა: მარჯვენა ხელი მარჯვნივ და ქვევით გადაადგილდება, მარცხენა – მარცხნივ და ქვევით; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ადამიანი“ – ხელისგული მიმართულია წინ, გაშლილი ცერით და საჩვენებელი თითით ღია წრეა გამოსახული, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდისა და მხრების დონეზე.

ადმინისტრაცია



ბ


ადმინისტრაცია – აღმასრულებელი ორგანო ან ჯგუფი

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ხელმძღვანელი“ – ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები მუშტად შეკრული თითებით, ხელები სხეულისკენ მოძრაობს სინქრონულად; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „უფროსი“ – მარცხნივ მიმართულია მარჯვენა ხელისგული მუშტად შეკრული თითებით და ზემოთ აწეული ცერით, სხეულისკენ მიმართულია მარცხენა ხელისგული მუშტად შეკრული თითებით, ზევით განთავსებული მარჯვენა ხელით სრულდება მოძრაობა ქვევით და ხელი ეხება მარცხენა ხელს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

ანკეტა




ანკეტა – გარკვეული ფორმის მიხედვით შედგენილი ფურცელი რთული ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ადამიანი“ – ხელისგული მიმართულია წინ, გაშლილი ცერით და საჩვენებელი თითით ღია წრეა გამოსახული, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება მოძრაობა ქვევით; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „პიროვნება“ – ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები გაშლილი და წინ მიმართული თითებით, ჩაკეცილი ცერებით, ორივე ხელებით სრულდება სინქრონული მოძრაობა ქვევით; ჟესტის ბოლო ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ჩამოწერა“ – წინ მიმართულია ხელისგულები, ცერი ეხება გაშლილი თითების წვერებს, ხელები ქვევით ეშვება სპირალური ტრაექტორიით. ჟესტი სრულდება მხრებისა და მკერდის დონეზე.

არჩევანი

არჩევანი – არჩევის უფლება-შესაძლებლობა, არჩეული რამ ან ვინმე

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „თვითონ“ – სხეულისკენ და ქვევით მიმართული მარჯვენა ხელისგული მუშტად შეკრული თითებით მკერდს ეხება ჯერ მარცხენა, შემდეგ კი მარჯვენა მხარეს; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „არჩევანი“ – წინ მიმართულია მარჯვენა ხელისგული გაშლილი და წინ მიმართული თითებით, მარცხენა ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით მარჯვნივაა მიმართული, მარჯვენა ხელი ზევით და სხეულისკენ გადაადგილდება, ბოლო ფაზაში ცერი ეხება გაშლილი თითების წვერებს. ჟესტი სრულდება მკერდის დონეზე.


არჩევნები

არჩევნები – წარმომადგენლების ან თანამდებობის პირთა ხმის მიცემით არჩევა

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური, პანტომიმური ჟესტი, წინ და მარცხნივ მიმართულია მარჯვენა ხელისგული გაშლილი და წინ მიმართული თითებით, მარცხენა ხელისგული ფართოდ გაშლი-

ლი თითებით მარჯვნივ და წინა მიმართული, მარჯვენა ხელი ზევით და სხეულისკენ გადაადგილდება, ბოლო ფაზაში ცერი ეხება გაშლილი თითების წვერებს. ჟესტი სრულდება მკერდის დონეზე.


ყუთი



ყუთი – ოთხკუთხი სათავსი

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური, იკონური ჟესტი, ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები გაშლილი და წინ მიმართული თითებით, ბოლო ფაზაში სხეულისკენ მიმართულია ხელისგულები ერთმანეთისკენ მიმართული თითებით, მარცხენა ხელი ზევითაა განთავსებული. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

სტრატეგია




სტრატეგია – 1. ომის მომზადებისა და წარმოების, სამხედრო ოპერაციების ჩატარების ხელოვნება; 2. მიზნის მისაღწევი ხერხების ერთობლიობა

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „გეგმა“ – ფართოდ გაშლილი და წინ მიმართული თითებით მარცხენა ხელისგული მიმართულია მარჯვნივ, მარჯვენა ხელისგული მიმართულია სხეულისკენ, გაშლილია შუა და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, გაშლილი თითებით ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს, მარჯვე-

ნა ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა წინ და გაშლილი თითებით ხელი ისევ ეხება მარცხენა ხელისგულს; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „მომავალი“ – გაშლილი და წინ მიმართული თითებით ხელისგული მიმართულია მარცხნივ, სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა წინ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდისა და მხრების დონეზე.

მეთვალყურე



მეთვალყურე – თვალ-ყურის მდევნელი, ზედამხედველი, მეთვალთვალე

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „მეთვალყურე“ / „თვალყური“ – ქვევით მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და წინ მიმართულია საჩვენებელი და შუა თითები, დანარჩენი თითები კრავენ მუშტებს, ორივე ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის სინქრონული მოძრაობა წინ; ჟესტის მესამე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ადამიანი“ – ხელისგული მიმართულია წინ, გაშლილი ცერით და საჩვენებელი თითით ღია წრეა გამოსახული, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდისა და მხრების დონეზე.

საყურადღებოა, რომ ქართული ჟესტურ ენაში დერვანტი აფიქსების გამოყოფაც არის შესაძლებელი. მაგალითად ფორმაში „მეთვალყურე“ კომპოზიტის მეორე ნაწილია „ადამიანი“.

ადამიანი



ადამიანი – მოაზროვნე ცოცხალი არსება

ერთხელიანი, დინამიკური, ჟესტი, ხელისგული მიმართულია პირდაპირ და ქვევით, ოდნავ მოხრილი საჩვენებელი და ცერი თითები გამოსახავენ ღია წრეს, ხელი ქვევით ეშვება. ჟესტი სრულდება მკერდისა და მხრების დონეზე.

ეს ჟესტი როგორც დერივანტი აფიქსი ხშირად გამოიყენება ხელობის სახელებში ვინ კატეგორიის აღსანიშნად. ტერმინოლოგიურ ფორმებში ამ მასალაში ასევე შესაძლებელია დანიშნულების აფიქსის გამოყოფაც (მახარობლიძე, არჩვაძე), საკონსულო, სარწმუნო და სხვ.

საკონსულო



საკონსულო – ერთი სახელმწიფოს წარმომადგენლობა კონსულის მეთაურობით სხვა სახელმწიფოს რომელიმე ქალაქში

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „კონსული“ – მარჯვნივ მიმართულია სახესთან განთავსებული ხელისგული, გაშლილი და ზევით აღმართულია შუა და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება რკალური ტრაექტორიის განმეორებადი მოძრაობა წინ და უკან; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, სტატიკური სიტყვა-ჟესტი „დანიშნულება“ – წინ მიმართულია ხელისგულები გა-

შლილი და ფალანგებში მოხრილია შუა და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები ჩაკეცილია. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მკერდის დონეზე.

სარწმუნო



სარწმუნო – დასაჯერებელი, დამარწმუნებელი, ნამდვილი, მართალი

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „სანდო“ – სხეულისკენ მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი და მარჯვენა მიმართული თითებით, ქვევით მიმართულია მარჯვენა ხელისგული გაშლილი და წინ მიმართულია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, ზევით განთავსებული მარჯვენა ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა ქვევით; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, სტატიკური სიტყვა-ჟესტი „დანიშნულება“ – წინ მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და ფალანგებში მოხრილია შუა და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები ჩაკეცილია. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

გამოიყოფა აფიქსი „მრავალფეროვნება“. მაგალითად ჟესტში ‘აგრარული’ მეორე წევრი არის ეს აფიქსი.

აგრარული



აგრარული – მიწათმოქმედებასთან დაკავშირებული

რთული ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „სოფელი“ – ხელისგულები ერთმანეთისკენაა მიმართული ფართოდ გაშლილი თითებით, მარჯვენა ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს და ქვევით მოძრაობს; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „მრავალფეროვნება“ – ხელისგულები მიმართულია სხეულისკენ, ფართოდ გაშლილი თითების რხევით სრულდება განსვლითი მოძრაობა: მარჯვენა ხელი მარჯვნივ გადაადგილდება, მარცხენა – მარცხნივ; ჟესტის მესამე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, სტატიკური სიტყვა-ჟესტი „დანიშნულება“ – ხელისგულები მიმართულია წინ, გაშლილი და ფალანგებში მოხრილია საჩვენებელი და შუა თითები, დანარჩენი თითები ჩაკეცილია. ჟესტი სრულდება მკერდის დონეზე.

აღსანიშნავია, რომ ზემოთ ჩამოთვლილი აფიქსები დერივაციული აფიქსებია. აქ წარმოდგენილი ჟესტებიდან ჩანს, როგორ ცდილობს ენა, ახსნას ფორმა. ეს ხდება უმეტესად კომპოზიციით. ასეთი მიდგომა ზოგადად მისაღებია ჟესტური ენებისთვის, თუმცა უნდა ითქვას, რომ რაც მაღალია ამ თუ იმ ყრუთა თემის წევრების განათლების დონე, მით უფრო მაღალია მათი ენობრივი აბსტრაქციის უნარი. ასეთ საზოგადოებაში იქმნება არა მხოლოდ იკონური და იდეოგრამული ჟესტები, არამედ მაღალი ლინგვისტიკური აბსტრაქციით ყალიბდება კინეტიკა ახალი ფორმების წარმოსაქმნელად. სამწუხაროდ, ჯერ საკმაოდ შორსა ვართ ამგვარი პოზიციიდან.

ვფიქრობ, რომ ქართული ჟესტური ენის ტერმინთა წარმოება, სასურველი იქნება, თუ ქართული ენის ტერმინოლოგიური ქოლგის ქვეშ აღმოჩნდება. აქვე გასათვალისწინებელი იქნება ამ ენისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური გარემოებები და, ცხადია, სავალდებულო უნდა იყოს სათანადო ლინგვისტიკური კვალიფიკაცია ჟესტური ენის ტერმინოლოგიაზე მომუშავე ადამიანებისთვის.

ლიტერატურა

ლექსიკონი 2015 – თამარ მახარობლიძე, ქართული ჟესტური ენის ლექსიკონი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.

მახარობლიძე 2005 – თამარ მახარობლიძე, დესტინაციურ სისტემათა ტიპოლოგია (ქართული და ბასკური ენების მასალა), ნეკერი, თბილისი.

მახარობლიძე 2012 – თამარ მახარობლიძე, ქართული ჟესტური ენა, თბილისი.

მახარობლიძე 2015 – თამარ მახარობლიძე, ქართული ჟესტური ენის საარჩევნო ლექსიკონი, აშშ საელჩო, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.

Bybee 2003 – Joan Bybee, Cognitive Processes in Grammaticalization. 145-167 In: *Cognitive and Functional Approaches to Language Structure. Vol. 2 of The New Psychology of Language*. Ed. Michael Tomasello.: Lawrence Erlbaum, Mahwah, NJ.

Haspelmath 2004 – Martin Haspelmath, On Directionality in Language Change with Particular Reference to Grammaticalization. 17-44. In: *Up and down the Cline 2 The Nature of Grammaticalization*. Eds. Olga Fischer, Muriel Norde and Harry Perridon. Benjamins, Amsterdam.

Hopper 1991 – Paul Hopper, On Some Principles of Grammaticization. 149-187. In: *Focus on Theoretical and Methodological Issues*. Vol. 1 of *Approaches to Grammaticalization*. Eds. Elizabeth Closs Traugott and Bernd Heine. Benjamins, Amsterdam.

Janzen 2012 – Terry Janzen, Lexicalization and Grammaticalization. 816-841. In: *Sign Language – An International Handbook*. Eds. Roland Pfau, Markus Steinbach and Bencie Woll. Berlin, Boston: De Gruyter Mouton. doi: <https://doi.org/10.1515/9783110261325>

Wilcox 2007 – Wilcox Sherman, Routes from Gesture to Language. 107-131. In: *Verbal and Signed Languages: Comparing Structures, Constructs and Methodologies*. Eds. Elena Pizzuto, Paola Pietrandrea and Raffaele Simone. Mouton de Gruyter, Berlin.

Tamar Makharoblidze

Ilia State University, Georgia

Tamar.makharoblidze@iliauni.edu.ge

Keywords: Georgian Sign Language, Sign Making, Dictionary of Georgian sign language.

Terminological Issues in GESL¹

Summary

Materials or any historical sources on the origin of the Georgian sign language (GESL) are not available today. It is a natural language, but sign languages are languages of oral communication and obviously, no textual records are obtained. Neither corpus of this language (GESL) has yet been created. Thus, during linguistic studies, we mainly rely on language sources – the knowledge of the native sign language of local deaf people. Historical or diachronic reasoning related to GESL is obviously associated with certain difficulties for the reasons mentioned above.

Like other sign languages, word-sign production in GESL should be considered a certain kind of creative process. It is significant that the users of this language had no need to use a number of words, and therefore, there are no such words in the language. But time, as well as the further development of this local deaf community, demands the creation of new words/signs. The formation of terms in this language is especially problematic for a number of reasons, it is mainly related to the lack of education among deaf community members. Like all natural languages, sign languages must follow the mandatory norms of terminology, which are so important for terminology in general. In sign languages, there are proven models (one is used for ASL – American Sign Language terminology). These models have been successfully used to create terms for sign languages. It is desirable to implement these multi-professional models in the working process to produce any kind of terms in GESL.

¹ This work was supported by Shota Rustaveli National Scientific Foundation of Georgia (SRNSFN) 0FR-22-254. The Georgian Sign language nominal morphology].

The issues of creating and using terms in GESL are quite difficult due to a number of circumstances. In particular, it should be noted that the "scientific researches" of incompetent officials working in the education system are very damaging to this language. GESL may become copied /calqued from spoken Georgian, and in this case, of course, all scientific interest in this language will be lost. It is important to emphasize that in most cases non-professional linguistic activities refer to the lexical level of the language. In this regard, GESL is no exception.

In 2015, in the process of working with a group of deaf people, I identified the terms in GESL that were related to the topic of the elections and published the "Georgian Sign Language Election Dictionary".

It must be said that the ability to produce new terms with high linguistic abstraction mostly depends on the level of education of deaf community members. A well-educated deaf community is able to create not only iconic and ideographic signs, but more complicated and abstract signs. Unfortunately, the local deaf community is still quite far from such a position.

In my opinion, it would be desirable if GESL terminology falls under the terminological umbrella of the Georgian language in terms of language policy in general. Here, the specific circumstances of this language should be taken into account and, of course, it should be mandatory for people working on GESL terms to have the appropriate linguistic qualification.